1974/2

პროლეტარიატის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 4 (399)

1974 წლის აპრილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 4 (399) აპრილი 1974 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

69. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის შეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
70. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
71. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 108-ე მუხლში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.
72. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

73. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწყდებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
74. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „მეცნიერება და ტექნიკას“ თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
75. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „მეცნიერება და ტექნიკას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

76. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ მ. ბ. დავითაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

77. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზერბაიჯანის სსრ თეატრალური საზოგადოების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

78. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ლ. გ. კალანდაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

79. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. ს. ღვინიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

80. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ღ. თ. კუხიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

81. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ს. ჭიაბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

82. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისში სტიქიური უბედურებით დაზარალებული მოსახლეობისათვის ვლდანის დასახლებაში საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე თავის განსაკუთრებით გამოჩენისათვის მოძმე რესპუბლიკების მშენებელთა და მემონტაჟეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საინფორმაციო ცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

69 სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 39-ე, მე-40 და 41-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა საზოგადოებებისა და კოლექტივების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **სარალიძე** ზურაბ გიორგის ძე — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ჯაფარიძე** რუსუდან ალექსანდრეს ასული — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოსაგან.

საარჩევნო კომისიის მდივანი — **ყარყარაშვილი** შალვა ვასილის ძე — საქართველოს სსრ კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

საარჩევნო კომისიის წევრები:

აკოფოვი მირდატ სარქისის ძე — თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

აწყოსი ქერიმ ზაქარიას ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კოლექტივისაგან;

არაბული ნანი გიორგის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის წითელწყაროს რაიონული ორგანიზაციისაგან;

ბარამიძე ალექსანდრე გიორგის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან;

ბარკოვი ნიკოლოზ კირილეს ძე — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოსაგან;

გოლიაძე ეუფუნა ზეკერიას ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

დავითაშვილი მიხეილ დანიელის ძე — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციის კოლექტივისაგან;

მამედოვი მაგამედ ყასუმ ოღლი — სახელმწიფო დაწესებულების მუშაკთა პროფკავშირის გარდაბნის რაიონული ორგანიზაციისაგან;

მენთეშაშვილი თენგიზ ნიკოლოზის ძე — თბილისის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიეოვა-ოზბეთელაშვილი ვალენტინა კონსტანტინეს ასული — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მუშებისა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

რუხაძე იზოლდა პართენის ასული — ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან;

ჩაჩუა ნანული გრიგოლის ასული — სამტრედიის რაიონის ვომის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ჩუკბარი ვალენტინა ივანეს ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების მუშაკთა კოლექტივისაგან;

ხუნწარია მერი ველოდის ასული — ცხაკაიას სახელმწიფო სანერგე მეურნეობის კოლექტივისაგან;

ჯანჯღავა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისაგან;

ჯიგაევა ზინაიდა დიმიტრის ასული — ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კბაჰაძე.

თბილისი, 1974 წლის 1 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

70 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 107. სახლის (აგარაკის) თვითნებურად აშენების შედეგები

მოქალაქეს, რომელმაც სათანადო ნებართვის ან დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტის გარეშე, ანდა პროექტისაგან არსებითი გადახვევით, ან ძირითადი სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით აიშენა საცხოვრებელი სახლი (აგარაკი) ან სახლის (აგარაკის) ნაწილი, უფლება არა აქვს განკარგოს ეს სახლი (აგარაკი) ან სახლის (აგარაკის) ნაწილი — გაყიდოს, გააჩუქოს, გააქირავოს და ა. შ.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით ასეთი სახლი (აგარაკი) თუ სახლის (აგარაკის) ნაწილი უნდა დანგრიოს თვითნებურად აშენებელმა მოქალაქემ, ან იგი დანგრეულ უნდა იქნეს მის ხარჯზე, ანდა სასამართლოს გადაწყვეტილებით იგი უსასყიდლოდ იქნება ჩამორთმეული და ჩაირიცხება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ფონდში. ამასთან, გამოსახლებული იქნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიან თვითნებურად ამშენებელი მოქალაქე და მასთან ერთად მცხოვრები პირები.“

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზემოთ ჩამოყალიბებული 107-ე მუხლის წესები გამოყენებული იქნება ამ ბრძანებულების ძალაში შესვლის შემდეგ თვითნებურად აშენებული სახლების (აგარაკების) მიმართ.

ბრძანებულების ძალაში შესვლამდე თვითნებურად აშენებული სახლების (აგარაკების) მიმართ გამოყენებული იქნება ის წესები, რომლებიც ადრე მოქმედებდნენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1974 წლის 12 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

71 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 108-ე მუხლში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილება და დამატება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 108-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

მუხლი 108. ჩამორთმევა ქონებისა, რომელსაც იყენებენ არაშრომითი შემოსავლის მისაღებად

თუ მოქალაქე პირადი საკუთრების საცხოვრებელ სახლს, აგარაკს (სახლის, აგარაკის ნაწილს) ან სხვა ქონებას სისტემატურად იყენებს არაშრომითი შემოსავლის მისაღებად, ეს სახლი, აგარაკი (სახლის, აგარაკის ნაწილი) ან სხვა ქონება უსასყიდლოდ უნდა იქნეს ჩამორთმეული სასამართლო წესით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სარჩელით.

სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამორთმეული სახლი (აგარაკი) ან სახლის (აგარაკის) ნაწილი ჩაირიცხება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ფონდში, სასამართლოს შეუძლია მესაკუთრეს და მასთან ერთად მცხოვრებ პირთ ჩამოართვას ამ სახლში საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება, მაგრამ თუ მათ არა აქვთ მუდმივ საცხოვრებლად ვარგისი სხვა ბინა, საცხოვრებელი ფართობი მიეცემათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს საბინაო ფონდიდან, არსებული ხორმების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მუხლის პირველი ნაწილის წესები არ ვრცელდება იმ შემთხვევებში, როდესაც სახლი, აგარაკი (სახლის, აგარაკის ნაწილი) გაქირავებულია ამ კოდექსის 299-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

72 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ

სავეტერინარო წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს დამატება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 183. სავეტერინარო წესების დარღვევა

სავეტერინარო წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ან წინასწარი შეცნობით შეიძლება მოჰყოლოდა ეპიზოოტიის გავრცელება ან სხვა მძიმე შედეგი,— ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 29 აპრილი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

73 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულის გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ სერგო მელქოს ძე **ბერუჩევი** — ონის საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მასწავლებელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 29 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

74 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „მეცნიერება და ტექნიკას“ თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „მეცნიერება და ტექნიკას“ რედაქციაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ჟურნალის დაარსების ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, მიენიჭოთ **საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის** საპატიო წოდება:

ელისაბედ პავლეს ასულ **ესიავას** — ჟურნალის უფროს ლიტმუშაკს.

მანანა კლიმენტის ასულ **ლეუავას** — ჟურნალის უფროს ლიტმუშაკს.

თენგელა გიორგის ასულ **ლორთქიფანიძეს** — ჟურნალის პასუხისმგებელ მდივანს.

რუსუდან იოსების ასულ **ჯუღელს** — ჟურნალის რედაქციის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი 1974 წლის 5 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

75 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „მეცნიერება და ტექნიკას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა სამეცნიერო-ტექნიკური განათლების საქმეში დამსახურებისათვის, დაარსების ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი **„მეცნიერება და ტექნიკა“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი 1974 წლის 5 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

76 კომპოზიტორ მ. შ. დავითაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, კომპოზიტორი მერი შალვას ასული **დავითაშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი 1974 წლის 5 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

77 აზერბაიჯანის სსრ თეატრალური საზოგადოების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

აზერბაიჯანული და ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების მეგობრული შემოქმედებითი და კულტურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში დამსახურებისათვის, აზერბაიჯანული ეროვნული თეატრის 100 წლისთავთან დაკავშირებით, **აზერბაიჯანის სსრ თეატრალური საზოგადოება** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი 1974 წლის 16 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

78 მწერალ ლ. გ. კალანდაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოდეს მწერალი ლავროსი გიგილოს ძე **კალანდაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი 1974 წლის 16 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

79 მწერალ ა. ს. ღვინიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-ჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მწერალი ანა სპირიდონის ასული **ღვინიაშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი 1974 წლის 16 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

80 ამხ. დ. თ. კუხიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობისა და მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელის“ დირექტორი ამხ. დავით თევდორეს ძე **კუხიანიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი 1974 წლის 17 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

81 ამხ. ბ. ს. ჭიპაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ამხ. ბაბო სერგოს ასული **ჭიპაშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი 1974 წლის 17 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

82 ქ. თბილისში სტიქიური უბედურებით დაზარალებული მოსახლეობისათვის გლდანის დასახლებაში საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე თავის განსაკუთრებით გამოჩენისათვის მოძმე რესპუბლიკების მშენებელთა და მემონტაჟეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქ. თბილისში სტიქიური უბედურებით დაზარალებული მოსახლეობისათვის გლდანის დასახლებაში საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე წარმატებით მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ნუმან ეშმატის ძე **ასტანაკულოვი** — სამმართველო „გლავტაშკენტსტროის" მებეტონე.

2. მურადბეგ ბაიტულის ძე **ბაიტულაევი** — სამმართველო „გლავტაშკენტსტროის" ხურო.

3. სერგო გრიგოლის ძე **ვარდანიანი** — ერევნის სახლთმშენებელი კომბინატის სამუშაოთა მწარმოებელი.

4. ვლადიმერ ივანეს ძე **ბოიკო** — დონეცკის ოლქის სამმართველო „გორლოვსკჟილსტროის" მემონტაჟე.

5. არტურ გრიგოლის ძე **ჯარაკიანი** — ერევნის სახლთმშენებელი კომბინატის მთავარი მშენებელი.

6. ალბერტ ფილიპეს ძე **კარასევიჩი** — დონეცკის ოლქის სამმართველო „გორლოვსკჟილსტროის" სამუშაოთა მწარმოებელი.

7. ოდილ იუსუფის ძე **მადიაროვი** — სამმართველო „გლავტაშკენტსტროის" მეამწე.

8. ოვსეპ ქირაირის ძე **ნერსესიანი** — ერევნის სახლთმშენებელი კომბინატის სამმართველოს ბრიგადირი.

9. ჯამშირ ჯაფარ ოღლი **ორუჯევი** — სამმართველო „გლავბაქსტროის" I სახლთმშენებელი კომბინატის მემონტაჟე.

10. მელიქ გურგენის ძე **პაპაიანი** — ერევნის სახლთმშენებელი კომბინატის სამმართველოს მემონტაჟე.

11. მიხეილ მიხეილის ძე **პერესადი** — სამმართველო „გლავბაკსტროის" მშენებლობის უფროსი ქ. თბილისში.

12. მიხეილ **სიერეკალოვი** — სამმართველო „გლავბაკსტროის" მეამწე.

13. ვიქტორ ივანეს ძე **ცებულინი** — დონეცკის ოლქის სამმართველო „გორლოვსკჟილსტროის" უბნის უფროსი.

14. ნიკოლოზ პეტრეს ძე **ჩერნიშევი** — სამმართველო „გლავტაშკენტსტროის" სამუშაოთა მწარმოებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. რაფაელი **შაქარამოვი** — სამმართველო „გლავბაკსტროის“ მომპირკეთებელთა ბრიგადირი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი 1974 წლის 19 აპრილი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრებიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 29 აპრილის სხდომაზე განიხილა საკითხი მარნეულისა და კასპის რაიონებში ამხანაგური სასამართლოების მუშაობის შესახებ, აღინიშნა, რომ ამხანაგური სასამართლოები თავიანთი საქმიანობით ყოველმხრივ ხელს უწყობენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და წარმოება-დაწესებულებებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, სოციალისტური თანაცხოვრების ნორმების დაცვას და საბჭოთა კანონების განუხრელად გატარებას.

კარგად მუშაობენ მარნეულის რაიონის სოფ. შაუმიანის, კასპის რაიონის სოფ. ახალქალაქის კოლმეურნეობების და სოფ. ოკამის საბჭოთა მეურნეობის ამხანაგური სასამართლოები. ისინი საქმეებს იხილავენ დაწესებულ ვადებში, ამასთან მასალებს ამოწმებენ წინასწარ; საქმეთა განხილვაში მონაწილეობენ მშრომელთა კოლექტივები, გამოტანილი გადაწყვეტილებები სათანადოთაა დასაბუთებული. პრაქტიკაშია ადგილობრივი რადიოსა და პრესის საშუალებით მოსახლეობისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებათა გაცნობა, ხოლო ზოგჯერ, მათი გამოკვრაც კი თვალსაჩინო ადგილას.

ამხანაგური სასამართლოების წევრებისათვის პერიოდულად ეწყობა ლექციები და საუბრები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებშიც მონაწილეობენ სასამართლოს და პროკურატურის მუშაკები.

ორივე რაიონში შექმნილია ამხანაგური სასამართლოების რაიონული საბჭოები, რომლებიც მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევენ ამხანაგურ სასამართლოებს და ეხმარებიან მათ. რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მიმდინარე წლის აპრილში განიხილეს საკითხი ამხანაგური სასამართლოების მუშაობის შესახებ და დასახეს სათანადო ღონისძიებანი.

ამასთან, დასახელებული რაიონების ამხანაგური სასამართლოების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებები.

ამხანაგური სასამართლოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სხდომების სწორ ორგანიზაციას, წინასწარ არ ცხადდება სხდომის ჩატარების დღე, ადგილი და განსახილველი საქმე. ამის გამო საზოგადოებრიობა ნაკლებად მონაწილეობს საქმის განხილვაში. ადგილი აქვს საქმეთა განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურების ფაქტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებითი ხასიათის შეცდომებია ამხანაგური სასამართლოების ოქმებისა და გადაწყვეტილებების გაფორმებაში, ხშირად გადაწყვეტილებას ხელს აწერს მხოლოდ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

არის შემთხვევები, როდესაც ხელოვნურად აერთიანებენ დანაშაულთა სხვადასხვა საქმეებს.

ამხანაგური სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს ყოველთვის არ აცნობენ ფართო საზოგადოებრიობას, რის გამოც სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა ნაკლებ შედეგიანია.

ხშირად ამხანაგური სასამართლოები საქმეთა განხილვის შედეგებს არ ატყობინებენ იმ ორგანიზაციებს, საიდანაც შემოვიდა მასალა.

ზოგიერთი ამხანაგური სასამართლო ამომრჩევლებს არ აბარებს ანგარიშს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ადმინისტრაციული ორგანოები ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ კოლექტივებისა და ამხანაგური სასამართლოების როლს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში და ამჯობინებენ თვითონ განიხილონ იმ პირთა საქმეები, რომელთა მიმართ ამხანაგური სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები უფრო ეფექტური იქნებოდა.

სასამართლოს, პროკურატურისა და განსაკუთრებით მილიციის ორგანოები არ სთხოვენ ამხანაგურ სასამართლოებს მათ მიერ გადაცემული საქმეების განხილვის შედეგებს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, პროფკავშირების რაიონული დარგობრივი კომიტეტები, ამხანაგური სასამართლოების რაიონული საბჭოები სათანადო კონტროლსა და დახმარებას არ უწევენ ამხანაგურ სასამართლოებს, არ ისმენენ მათს მოხსენებებს ჩატარებული მუშაობის შესახებ, არ ახდენენ მუშაობის დადებითი გამოცდილების გაზიარებას.

საგულისხმოა, რომ მარნეულის რაიონის ამხანაგური სასამართლოების უმრავლესობას 1974 წლის თებერვალში გაუვიდა უფლებამოსილების ვადა, მაგრამ სასამართლოს ახალი შემადგენლობის არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა.

ამხანაგური სასამართლოების მუშაობას ნაკლებად აშუქებენ ადგილობრივ რადიოგადაცემებში, პრესაში. მარნეულის რაიონულ გაზეთს 1973-74 წლებში არც ერთი წერილი არ გამოუქვეყნებია ამხანაგური სასამართლეოების მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მარნეულისა და კასპის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს გაძლიერონ ხელმძღვანელობა ამხანაგური სასამართლოებისადმი, დასახონ და გაატარონ ღონისძიებანი დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რისთვისაც:

უზრუნველყონ ამხანაგური სასამართლოების როლის შემდგომი ამაღლება შრომის დისციპლინის განმტკიცების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფკავშირების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ამხანაგური სასამართლოების რაიონული საბჭოების მონაწილეობით პერიოდულად შეამოწმონ და განიხილონ ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა; სისტემატურად შეისწავლონ და განაზოგადონ მათი დადებითი მუშაობის გამოცდილება;

დაავალდებულონ წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, რომ ამხანაგურ სასამართლოებს შეუქმნან მუშაობის ნორმალური პირობები;

ამხანაგური სასამართოლების მუშაობაში განუხრელად დაიცვან საჯაროობის პრინციპი, სისტემატურად გააშუქონ საზოგადოებრიობის მონაწილეობით ამხანაგური სასამართლოების მიერ განხილული საქმეები, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი რადიოგადაცემები და პრესა;

უახლოეს დროში ჩაატარონ იმ ამხანაგური სასამართლოების არჩევნები, რომლებსაც გაუვიდათ უფლებამოსილების ვადა. ამასთან მიიღონ ზომები, რათა ამხანაგური სასამართლოები სისტემატურად აბარებდნენ ანგარიშს მშრომელთა კოლექტივებსა და მოსახლეობას;

მეტი ყურადღება მიაქციონ ამხანაგური სასამართლოების წევრთა სწავლებას, ჩაატარონ მათთვის სემინარები და საინსტრუქტაჟო თათბირები; ამ საქმეში აქტიურად ჩაებან სასამართლოს, პროკურატურის, მილიციისა და იურიდიული კონსულტაციების მუშაკები.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს რჩევა მიეცა უზრუნველყოს, რომ პროფკავშირების ადგილობრივმა კომიტეტებმა სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ ამხანაგურ სასამართლოებს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დაევალა მიიღოს ზომები, ოათა სახალხო სასამართლოებმა უფრო ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ ამხანაგურ სასამართლოებს.

საქართველოს სსრ პროკურატურას რჩევა მიეცა გააძლიეროს ამხანაგური სასამართლოების დებულების სწორად გამოყენების ზედამხედველობა.

დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ამხანაგური სასამართლოების მუშაობის გასაუჯობესებლად. მიმდინარე წლის ივლისის თვეში პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად ჩაატარონ ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეების თათბირ-სემინარი მათი მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე.

*

* *

ამავე სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საკითხი სასოფლო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში სასოფლო საბჭოების როლის შესახებ ცხაკაიას რაიონში, აღინიშნა, რომ რაიონის სასოფლო საბჭოები სერიოზულ მუშაობას ეწევიან სოფლის მეურნეობის დარგში მე-9 ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის დავალებათა წარმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებით შესრულებისათვის. მიმდინარე წლის იანვარში ჩატარდა რაიონული ტივის, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა კრებები, რომლებზედაც განხილული იქნა 1973 წლის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგები და აღებულ იქნა ახალი სოციალისტური ვალდებულებანი 1974 წლისათვის. გარდა ამისა, სასოფლო საბჭოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება 1974 წელს სასოფლო-სამეურნეო გეგმისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

აღებული სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად ახალსოფლის, თეკლათის, ხორშის, მენჯის, ფოცხოს და სხვა სასოფლო საბჭოები, დეპუტატების, სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების მონაწილეობით, სწავლობენ და იხილავენ სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვლადებულებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და ატარებენ ღონისძიებებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. შრომის ნაყოფიერების გაზრდის საუკეთესო საშუალების — სოციალისტური შეჯიბრების კარგმა ორგანიზაციამ თავისი გამოხატულება ჰპოვა აღნიშნული სასოფლო საბჭოების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების საქმეში.

აღებულ ვალდებულებათა შესრულების შედეგების მიხედვით, როგორც გასულ, ისე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა ახალსოფლის სასოფლო საბჭომ, რომელმაც ვალდებულებანი ყველა სახეობაში გადაჭარბებით შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ამ საბჭოს დეპუტატები, შრომაში მოპოვებულ წარმატებებთან ერთად სათანადო მუშაობას ეწევიან თავის საარჩევნო ოლქებში, სისტემატურად ხვდებიან ამომრჩევლებს, რომლებიც ინფორმაციას უკეთებენ გეგმების შესრულების შესახებ და ყოველმხრივ რაზმავენ მათ გეგმებისა და აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების კარგმა ორგანიზაციამ, მისმა საჯაროობამ, მასობრიობამ, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებამ, მორალური და მატერიალური სტიმულირების სწორმა შეხამებამ სათანადო შედეგები გამოიღო.

მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის გეგმა რაიონში, 1974 წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით, შესრულებულია 101 პროცენტით; სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა — 109 პროცენტით, რძისა — 131 პროცენტით, კვერცხისა — 140 პროცენტით.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა სისტემატურად შუქდება რაიონულ გაზეთსა და ადგილობრივ რადიოგადაცემებში.

ამასთან ერთად, ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი ჯერ კიდევ სუსტად ახორციელებს კონტროლს სოციალისტურ შეჯიბრებაში კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე.

სასოფლო საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხებს, ხშირად, იხილავენ ზერელედ, კოლმეურ-

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის სათანადო ანალიზის გარეშე, მიღებული გადაწყვეტილებები არ არის კონკრეტული.

სუსტად მუშაობს ზოგიერთი სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია კომისიების სხდომებზე იშვიათად იხილება კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების, ცალკეული ბრიგადების ხელმძღვანელთა მოხსენებები სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა შესრულების, შრომის ორგანიზაციის, მიწათსარგებლობის წესების დაცვის საკითხებზე.

სასოფლო საბჭოების ყველა დეპუტატს სათანადო კავშირი არა აქვს თავის ამომრჩევლებთან, არ აწვდის მათ ინფორმაციას სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შესრულების მდგომარეობის და ამ დარგში საბჭოების წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო გეგმისა და აღებულ ვალდებულებათა შესრულების საქმეში ზოგიერთი დეპუტატი არათუ სამაგალითოა, არამედ ჩამორჩება კიდეც.

სასოფლო-სამეურნეო გეგმის და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საქმეში სასოფლო საბჭოების აღმასკომების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ რაიონული საბჭოს აღმასკომი ჯერ კიდევ სათანადო დახმარებასა და კონტროლს არ უწევს სასოფლო საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ცხაკაიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მთელი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა წარმართოს მე-9 ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის სახელმწიფო გეგმისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში სასოფლო საბჭოების როლის შემდგომ ასამაღლებლად, რისთვისაც:

მიაღწიოს, რომ სასოფლო საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები სრულად იყენებდნენ კანონით მინიჭებულ უფლებებს და ახორციელებდნენ სისტემატურ კონტროლს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების გეგმიურ დავალებათა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე. აამაღლოს მომთხოვნელობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი გეგმების შესრულების, წარმოების მოწინავე მეთოდების დანერგვისა და სოციალისტური შეჯიბრების უკეთ ორგანიზაციის საქმეში;

სასოფლო საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე სისტემატურად განიხილონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საკითხები და სათანადო ანალიზის შემდეგ დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი წარმოების ეფექტიანობის, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, შინასაწარმოო რეზერვების გამოვლენისა და წარმოების მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო აქტიურად ჩაებას საბჭოების სოფლის მეურნეობისა და სხვა მუდმივი კომისიები სოციალიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი, რათა ისინი თავიანთ სხდომებზე სისტემატურად ისმენდნენ სოფლის მეურნეობის გეგმების და დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, საჭირო რეკომენდაციებს აძლევდნენ კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს;

სათანადო დახმარება გაუწიოს დეპუტატებს მათს მოვალეობათა შესრულებაში, მიაღწიოს, რომ ისინი ამომრჩეველს რეგულარულად აწვდიდნენ ინფორმაციას გეგმების შესრულებისა და საბჭოს წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ. აამაღლოს დეპუტატების ავანგარდული როლი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში; უზრუნველყოს, რომ ისინი გამოდიოდნენ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად, სახელმწიფო დისციპლინის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სულისკვეთებით სოფლის მშრომელთა აღზრდის ორგანიზატორებად.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ, ქალაქთურის და ტყიბულის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალა:

პერიოდულად შეამოწმონ და განიხილონ საკითხი მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის სასოფლო-სამეურნეო გეგმისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში სასოფლო საბჭოების როლის შესახებ. ამასთან მეტი ყურადღება მიაქციონ დეპუტატების საქმიანობას საარჩევნო ოლქებში აღებულ ვალდებულებათა განხორციელებისათვის მშრომელთა დასაროზმავად;

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების საჯაროობის გაუმჯობესების მიზნით გააქტიურონ ადგილობრივი პრესის, რადიოს, ბიბლიოთეკების, კლუბების, კულტურის სახლების მუშაობა, ფართოდ გამოიყენონ მათი შესაძლებლობანი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა გამოცდილების გავრცელებისათვის. პერიოდულად ჩაატარონ სოფლის, რაიონის მოწინავეთა შეკრებები, მათი შეხვედრები ახალგაზრდობასთან, მოსახლეობასთან და რესპუბლიკის სხვა მოწინავე ადამიანებთან.

ცხაკაიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს (ამხ. ს. კარტოზია) დაევალა ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1974 წლის 1 სექტემბრისათვის.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 29 აპრილის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენე-

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 220 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	5
„ ფოთიდან	3
„ ქუთაისიდან	9
„ ჭიათურიდან	14
აბაშის რაიონიდან	25
ადიგენის „	8
ბოლნისის „	62
დმანისის „	70
დუშეთის „	4
ზესტაფონის „	13
თიანეთის „	7